# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 9 დეკემბერი 2006 №285 (2907) ფასი 50 თეთრი


# ფინალივით მეოთხედფინალი

## ამერი — დინამო და სხვა დანარჩენი

აი, ინტრიგა და ინტერესი: გუშინ პროფლიგაში ჩატარებულმა წილისყრამ დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების მეოთხედფინალში „ამერი“ და „დინამო“ დააწყვილა. ასე ინება ბედმა: სათასო პლეი ოფი ამ მართლაც და მადიანი თამაშით იწყება — თბილისის „ამერი“ თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ. სხვა გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ბორჯომი“ — „ზესტაფონი“, „ბათუმი“ — „ტორპედო“, „ჩიხურა“ — „სიონი“. პირველი მატჩები 18 თებერვალს გაიმართება, საპასუხოები კი 6 მარტს.





# უეფა თითქმის ფიფაა

## ევროჩემპიონატზე 24 გუნდი ითამაშებს?



AFP ნიონიდან

ევრო 2012-ზე შესაძლოა, 16-ის ნაცვლად 24 ნაკრებმა ითამაშოს — ამ ვარიანტზე იმსჯელა გუშინ უეფამ ნიონში.

უეფას აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ლარს-კრისტერ ოლსონმა განაცხადა, რომ ევროპული ფეხბურთის შეფებმა განიხილეს ევრო 2012-ის მონაწილეთა რაოდენობის 24-დე გაზრდის შესაძლებლობა და იანვრის ბოლოს კონგრესზე სწორედ ეს საკითხი განიხილება.

შეგახსენებთ, რომ ევრო 2012-ის მასპინძლობის სურვილი უკრაინა-პოლონეთმა, ხორვატია-უნგრეთმა და იტალიამ გამოთქვეს — სამეულს შორის გამარჯვებულს უეფა 2007 წლის აპრილში დაასახელებს.

„ეს იდეა აღმასკომის წევრებს მოეწონათ — აღნიშნა ოლსონმა — თუ კონგრესმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რისი დიდი ალბათობაც არსებობს, მაშინ ევრო 2012-ის მასპინძლობის მსურველებს ვაცნობებთ, რომ მათ 24 გუნდის მასპინძლობა უნდა შეძლონ. ბუნებრივია, თუკი მათ რვა ნაკრებით მეტის მასპინძლობა მოუწევთ, მაშინ სასტუმროების და სტადიონების რაოდენობაც გაიზრდება, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის მოთხოვნებს მიუახლოვდება, ამიტომ იანვრის კონგრესზე განსახილველი და დასაზუსტებელი ბევრი რამ იქნება.

24-მდე გუნდების რაოდენობის გაზრდის იდეა შოტლანდიას ეკუთვნის.



## შოტლანდიამ ევროპის გადიდება მოინდომა

# წილისყრის დიდი წილი: ამერი — დინამო



საქართველოს თასის მფლობელი საქართველოს 12-გზის ჩემპიონის წინააღმდეგ — აი, ასეთი შედეგითა და მძლავრი წყვილით დასრულდა გუშინ პროფლიგაში გამართული დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების მეოთხედფინალის კენჭისყრა.

მაშ ასე, „ამერი“ — „დინამო“, წყვილი ძალიან სოლიდური, ინტრიგა კი ისეთი, უკვე დღეიდანვე რომ უნდა ველოდოთ ამათ დაპირისპირებას.

სხვათა შორის, „ზესტაფონთან“ ერთად, სწორედ „ამერია“ ის გუნდი, რომელსაც „დინამოსთან“ ურთიერთშეხვედრებში დადებითი ბალანსი აქვს. ეროვნულ ჩემპიონატში „დინამო“-„ამერს“ ერთმანეთთან სულ სამჯერ უთამაშიათ, ორჯერ „ყვითლებმა“ მოიგეს, ერთი მატჩიც ფრედ დამთავრდა. ამათი ბოლო, საამსეზონო შეხვედრა კი აგვისტოში გლდანში შედგა — „ამერმა“ 2:0 იმარჯვა



პროფლიგის პრესსამსახურის უფროსი პაატა ბურჭალიანი და საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელი ნოდარ კაკულია

ვნახოთ, რა იქნება მომავალში, აუცილებლად სათქმელი კი ისიც არის, რომ გაზაფხულზე „დინამო“ ზედიზედ ორჯერ უმასპინძლებს „ამერს“. 6 მარტს მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრა იქნება, ხოლო 10 მარტს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი...

გუშინდელი კენჭისყრა პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტის უფროს ნოდარ კაკულიას სიტყვით დაიწყო, რომელმაც გუნდების წარმომადგენლებს მიმართა, დაწყვილება გარეშე ხალხს მივანდოთო. საწინააღმდეგო არავის ჰქონია...

თავიდანვე იყო ცნობილი, რომ ჯგუფების გამარჯვებულები და თანაჯგუფელები მეოთხედფინალში ერთმანეთთან არ დაწყვილდებოდნენ. შეგახსენებთ, ჯგუფებში „ზესტაფონმა“, „დინამომ“, „სიონმა“ და „ტორპედომ“ იმარჯვეს, „ამერი“, „ჩიხურა“, „ბათუმი“ და „ბორჯომი“ კი მეორეობას დასჯერდნენ.

მოკლედ, კენჭისყრის ჩატარების პრინციპი მალევე გაირკვა და საქმეც დაიწყო. ლოტოტრონთან პირველი „საქართველოს რესპუბლიკიდან“ ჩვენი კოლეგა გია პლატონიშვილი მივიდა, მის ხელს „ზესტაფონი“ ამოჰყვა. ვინაიდან ეს გუნდი „ამერის“ თანაჯგუფელი იყო, შესაძლო მეტოქეებად „ბორჯომი“, „ჩიხურა“ და „ბათუმი“ დარჩნენ. პროფლიგის თანამშრომლის ნუკა არველაძის ხელით „ზესტაფონს“ „ბორჯომი“ ერგო.

მომდევნო წყვილი კი უკვე წყვილთა შორის გამორჩეული გამოდგა. ცნობილმა ფოტორეპორტიორმა ალექსანდრე კოტორაშვილმა ლოტოტრონიდან „დინამო“ ამოიღო. მეტოქის ვინაობის გარკვევა ოლიმპელ ჟურნალისტ ალეკო კაკურიძეს დაუთმეს — „ამერი“, თქვა მან და დამსწრეთა პირველი რეაქციაც, ბუნებრივია, იმწამსვე შესაბამისი იყო — დაუწყვილებელი გუნდების წარმომადგენლებსაც იქვე დაეტყოთ, „დინამოსა“ და „ამერის“ არიდებით კმაყოფილნი რომ დარჩნენ.

კენჭისყრის შედეგით კმაყოფილი დარჩა „დინამოს“ სპორტული დირექტორი *ამირან ლიბრაძეც*: „გაგვიმართლა, კარგია, რომ ძლიერ გუნდს უნდა შევხვდეთ. ასეთ მეტოქესთან თამაში სასიამოვნოა და უფრო სასიამოვნო ის იქნება, თუ თასის მფლობელს დავამარცხებთ.“

მოგვიანებით, ცხადია, მეტოქეთა მწვრთნელებსაც დავუკავშირდით...

*დუშან უჰრინი:* „ამერი“ ერთ-ერთი ძლიერი და საინტერესო გუნდია საქართველოს ჩემპიონატში. ვფიქრობ, შანსები აბსოლუტურად თანაბარია, ქომაგებს საინტერესო მატჩებს ვპირდები და იმედი მაქვს, ისინი სტადიონზე აუცილებლად მოვლენ.“

*გიორგი ჩიხრაძე:* „მეოთხედფინალური მატჩი, მეტოქე ვინც უნდა ყოფილიყო, რთულია. ზამთრის შესვენებაზე „დინამო“ ალბათ გაძლიერდება, რაც ჩვენს შეხვედრებს მეტ დაძაბულობას შემატებს. ჩვენი მიზანი იგივეა, რაც იყო — ჩემპიონობა და თასი. „დინამოსთან“ პირველი მატჩის შინ გამართვას კი, არა მგონია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგანაც არც „დინამო“ თამაშობს „ეროვნულზე“.

„ბათუმი“ — „ტორპედოს“ და „ჩიხურა“ — „სიონის“ დაწყვილებას კი სხვადასხვა პროცედურები აღარ დასჭირვებია. ჩემპიონი „სიონი“ სათასო დებულებით თანაჯგუფელ „ბათუმსა“ და პირველადგილოსან „ტორპედოს“ ვერ შეხვდებოდა და მეტოქეც ავტომატურად მიიღო — „ჩიხურა“, ვისი მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი წინა სეზონის დასაწყისში სწორედ ბოლნისელებს ხელმძღვანელობდა.

მეოთხე წყვილი „ტორპედო“ — „ბათუმი“ გამოდგა, ქუთაისელთა თავკაცმა რევაზ ძოძუაშვილმა კი თქვა, რომ შორ გზაზე სიარული აღარ დაგვჭირდება, დასავლური დერბი იქნებაო.

ასეთი ამბები იყო გუშინ პროფლიგაში.

მეოთხედფინალების პირველი მატჩები ჯგუფებში მეორეადგილოსნების მოედნებზე 18 თებერვალს ჩატარდება, საპასუხოები — 6 მარტს.

**კობა ინასარიძე**

# შეტყობინება ნალჩიკის გასახდელზე



## გოგიტა გოგუა: ყველაფერი ტყუილია!

**რუსულმა** ვებგვერდებმა გაზეთ ТВОЙ ДЕНЬ-ზე დაყრდნობით, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელ გოგიტა გოგუაზე, როგორც გაირკვა, გამოგონილი ამბავი გაავრცელეს: ვითომდა, რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურის „ნალჩიკი“ — „ლუჩ-ენერგიას“ დასრულების შემდეგ ნალჩიკელმა გოგუამ გასახდელში სკანდალი მოაწყო, რადგან შეიტყო, რომ თანაგუნდელებს მასზე ბევრად მეტი გასამრჯელო ჰქონდათ და თავადაც იგივე ანაზღაურება მოითხოვა. „ნალჩიკის“ მესვეურებს კი გოგუასთვის უთქვამთ, ბოლო ტურებში უწინდელივით სასარგებლოდ ვერ ირჯებიო. ამ ყველაფრის გამო გოგუას იმ დღესვე დაუტოვებია ყაბარდო-ბალკარეთი და სამშობლოში დაბრუნებულა.

— ეს ყველაფერი ტყუილია. „ლუჩ-ენერგიასთან“ მატჩისთვის დისკვალიფიცირებული ვიყავი და თამაშის წინა დღეს უკვე თბილისში გახლდით. თუ გნებავთ, ლუჩელ გიორგი ლომაიას ჰკითხეთ, რომ იმ დღეს იქ საერთოდ არ ვყოფილვარ — გვითხრა გუშინ გოგუამ, ვისაც „ნალჩიკთან“ საიჯარო ხელშეკრულება დაუსრულდა და სხვა გუნდში აპირებს თამაშს.

**დავით თავართქილაძე**

# კალაძემ შევას კარი გაუღო



**ანდრეი შევჩენკოს** ინგლისური „ჩელსიდან“ იტალიურ „მილანში“ დაბრუნება-არდაბრუნებაზე ატეხილ ისტერიულ კამპანიას სიტყვა კახა კალაძემაც შეაწია.

„მილანისა“ და საქართველოს ნაკრების კაპიტანმა „ევროსპორტთან“ საუბარში განაცხადა, რომ უბედნიერესი იქნება, „შევა“ შავ-წითლებში თუ დაბრუნდება.

— ჩვენ გვჭირდება შევა და შევას სჭირდება „მილანი“ — თქვა კახამ, ვინც ანდრეი შევჩენკოსთან უკვე რამდენი წელია, ჯერ კიდევ კიევის „დინამოდან“ მეგობრობს.

აბა, რა შეხსენება უნდა, რომ შევა ამ სეზონის წინ გადავიდა „ჩელსიში“, თუმცა „მილანის“ სუპერბომბარდირს ინგლისში ფეხის მოკიდება გაუჭირდა და...

**კახა შალამბერიძე**

## გერმანია

ბუნდესლიგა
XVI ტური
ლევერკუზენი 2:1 ჰერტა

მეორე ბუნდესლიგა
XVI ტური
ბურგჰაუზენი 1:1 ესენი
აუე 4:1 კობლენცი
ლაუტერნი 0:0 კარლ ცაისი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XIX ტური
ზანქტ პაული 1:1 ვუპერტალი

სამხრეთ რეგიონალლიგა
XX ტური
ჰოფენჰაიმი 2:2 ბაიერნი (მ)
ზიგენი 1:2 დარმშტადტი

## იტალია

სერია B
XV ტური
სპეცია 2:1 კროტონე

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XIX ტური
ამიენი 1:0 კრეტეი
ბასტია 0:1 გენიონი
ბრესტი 1:1 ტურსი
კაენი 4:0 ისტრი
გენგამი 1:1 შატორუ
ლიბურნი 2:3 რეიმსი
მონპელიე 1:2 აიაჩო
ნიორი 0:0 ლე ავრი
მეცი 4:1 სტრასბური

## ბელგია

იუპილერლიგა
XVI ტური
შარლერუა 4:1 გენკი

## ჰოლანდია

ერედივიზიონი
XVI ტური
ჰერენვენი 1:0 როდა

მეორე დივიზიონი
XX ტური
გრააფსხაპი 2:0 დორდრეხტი
ემენი 2:1 ჰელმონდი
ეინდჰოვენი 1:2 ვეენდამი
ვოლენდამი 1:0 ვენლო
სიტარდი 1:2 ალმერე
როზენდალი 5:1 აპელდორნი

## პორტუგალია

სუპერლიგა
XIII ტური
ბელენენსეში 2:0 ბრაგა

## თურქეთი

სუპერლიგა
XVII ტური
ანკარაგიუჯიუ 0:1 ფენერბაჰჩე

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
XVII ტური
კაპოშვარი 1:2 ჰონვედი
მტკ 2:0 ზალაეგერსეგი

## რუმინეთი

A დივიზიონი
XIX ტური
არადი 0:1 ვასლუი
ჩაჰლაული 0:4 პოლიტეხნიკა
ნაციონალი 1:0 გლორია

## მექსიკა

აპერტურა. პლეი ოფი
ფინალი. პირველი მატჩი
გვადალახარა 1:1 ტოლუკა


ბუბა ტყავაძე


სანდრო იაშვილი

გურამ ტოლორდავაშვილის ფოტო

# ტყავაძეს ეროვნება კი არა, ფეხბურთელი უნდა

## იაშვილი საუკეთესო დინამოელია

პირველმა წრე დასრულდა, თბილისის „დინამოც“ საახალწლოდ დაისვენებს და მერე ისევ შეკრებები, ტესტ-მატჩები, ტრანსფერები... ზაფხულს აქეთ „დინამოში“ მთავარი მოვლენა ჩეხი დუშან უჰრინის გათავკაცება გახლდათ. გამოცდილი მწვრთნელის ხელი ნაღდად დაეტყო გუნდს, მაგრამ „დინამოს“ უკვე დაკარგული ჰქონდა რამდენიმე ქულა, უჰრინის ხელშიც ორჯერ წაიბორძიკა და მეხუთე ადგილზეა — ხუთი ქულით ჩამორჩება ლიდერ „ოლიმპს“.

...„დინამო“ ახლაც ვარჯიშობს, გუშინ კი დიღმის ბაზაზე საინტერესო შეხვედრა მოაწყო: დინამოელები თავიანთი ფან-კლუბის წევრებს წაეთამაშნენ.

„დინამოში“ კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ და უჰრინის თანაშემწე კახა კაჭარავამაც ითამაშეს და გოლებიც გაიტანეს. მეორე ტაიმში კი ტყავაძე ფანების გუნდში გადავიდა.

ბუნებრივია, „დინამომ“ დიდი ანგარიშით მოიგო, თუმცა ფანებმა ორივე ტაიმში შეძლეს თითო გოლის გატანა.

ამ შეხვედრას არც დაჯილდოების გარეშე ჩაუვლია: ფანების გამოკითხვით, პირველ წრეში „დინამოს“ საუკეთესო ფეხბურთელი სანდრო იაშვილი გახდა — ფან-კლუბის ლიდერმა როლანდ გაფრინდაშვილმა (რომელიც ფანების გუნდიდან საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს) „იაშკას“ პრიზი გადასცა. გამოკითხვაში 40-მდე ფანმა მიიღო მონაწილეობა და პირველი სამეული ასე განაწილდა. სანდრო იაშვილი — 59 ქულა, სანდრო კობახიძე — 33, დავით გიგაური — 28.

გუნდის კაპიტანმა შოთა კაშიამ კი „დინამოს“ საუკეთესო გულშემატკივრად დასახელებულ დაჩი ჯაიანს გადასცა „დინამოს“ თეთრი მაისურა.

„დინამოს“ უახლოეს გეგმებზე, პირველი წრის შეფასებასა და სავარაუდო ტრანსფერებზე *ბუბა ტყავაძეს* ვესაუბრეთ...

**— პირველი წრის შედეგებით ალბათ კმაყოფილი ვერ იქნებით...**

— როცა გუნდი მეხუთე ადგილზეა, თავისთავად, დადებითად ვერ შევაფასებ შედეგს. ისე, ლიდერთა ჯგუფში სიმჭიდროვეა, არცთუ დიდი სხვაობით ჩამოვრჩებით პირველადგილოსანს. იმედია, „დინამო“ მეორე წრეში უკეთ ათამაშდება.

**— ხუთი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენეთ. შეგიძლიათ, უფრო დეტალურად გვითხრათ ცვლილებებზე?**

— ხდება ხოლმე, როდესაც ფეხბურთელი თავის შესაძლებლობებს ამოწურავს. მაგალითად, მიხეილ ბობოხიძესა და ლადო ახალაიას შეუძლიათ, უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში გააგრძელონ კარიერა. რაც შეეხებათ კახა მახარაძეს, შოთა ბაბუნაშვილს და შოთა გრიგალაშვილს, ისინი ტრანსფერზე კი დავაყენეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდი ფეხბურთელები არიან. თუ გაიყიდებიან, ხომ კარგი, ხოლო თუ განათხოვრებით წავლენ, იმედია, უკეთეს ფორმაში მყოფნი დაგვიბრუნდებიან.

**— ავსტრალიელ ნედ ზელიჩთან მოლაპარაკებები გრძელდება?**

— დიახ, მოლაპარაკებები გრძელდება.

**— ჩეხი ფეხბურთელების ჩამოყვანაზეც ითქვა...**

— ხშირად ისმის, რადგან უჰრინი ჩეხია, ჩეხი ფეხბურთელები მოვლენ „დინამოშიო“. არ არის გამორიცხული, ასეც მოხდეს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ეროვნებას, თუ კარგი მოთამაშე იქნება...

**— მიხეილ კაკალაძეს დაიტოვებთ თუ ისევ გაანათხოვრებთ?**

— მან ჯერ სამი ვარჯიში ჩაატარა, ამიტომ ზუსტად ვერ გეტყვით.

**— „დინამოს“ „სიონის“ კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემის გადაყვანა სურსო...**

— ასე ვიტყვი: ჩვენ ჩასემის მიმართ ჯერ არ გამოგვიხატავს ინტერესი.

**— ამ სეზონში „დინამოს“ მიზანი უპირობო ჩემპიონობაა თუ მომავლის გუნდზე უფრო აკეთებთ აქცენტს? ანუ ჩემპიონობა თუ ვერ მოიპოვეთ, ტრაგედიად აღიქვამთ?**

— „დინამოს“ ჰყავს მზარდი ახალგაზრდები, ბევრი მათგანი სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების ფეხბურთელია, რამდენიმე კი ეროვნული გუნდის კანდიდატიცაა. ჩვენი მთავარი მიზანია, ძლიერი და ლამაზად მოთამაშე გუნდი შევქმნათ. როცა ეს მოხდება, ჩემპიონობაც არ იქნება შორს.

**ილია ნანობაშვილი**

# სიონში წმენდა დაიწყო

## ექვსი შინ, ექვსიც ტრანსფერზე

დიდი წმენდაა მოსალოდნელი ბოლნისის „სიონში“. თუმცა რაღა მოსალოდნელი — გადაწყვეტილია, რომ გუნდი ექვს ფეხბურთელს გაუშვებს, ექვსსაც ტრანსფერზე დააყენებს. ამის თაობაზე გუშინდელ კრებაზე „სიონის“ ვიცე-პრეზიდენტმა დავით სილაგაძემ განაცხადა. ამ ფეხბურთელთა გვარები ორ დღეში გახდება ცნობილი...

რა გამოდის?

ქვემოქართლელები, ფაქტობრივად, ახალ გუნდს აკეთებენ და ალბათ არც გაემტყუნებათ — „სიონის“ შემადგენლობას გაძლიერება ნაღდად სჭირდება.

დიდი კითხვის ნიშანი უწერია „თანამეგობრობის თასზე“ ბოლნისელთა თამაშსაც.

„ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. მოსკოვში ჩასვლა, ფაქტობრივად, ამერიკაში ჩასვლაზე ძვირი ჯდება და გვიღირს კი ამდენი ხარჯი? თუ რუსული მხარე ვიზებს მაინც გაგვიკეთებს, მაშინ სხვა ამბავია“ — გვითხრა „სიონის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

**ილია ნანობაშვილი**

# ერთი ცხრილის ამბავი

რამდენიმე დღის წინ იმ გაურკვევლობაზე გვეწერა, ფეხბურთის ფედერაციისა და პროფლიგის ოფიციალურ ვებგვერდებზე რომ წავაწყდით. ქართული ფეხბურთის მმართველ ორგანოებს ჩემპიონატის ცხრილის განსხვავებული ვერსიები ჰქონდათ, რისი მიზეზიც თანაბარქულიან გუნდთა შორის ადგილთა განაწილება გახლდათ.

პროფლიგის ვერსიით, პირველი ოთხეული ასე იყო დალაგებული: „ოლიმპი“, „ვიტ ჯორჯია“, „ამერი“, „ზესტაფონი“.

ფედერაციის ვერსიით კი, ოთხეული ამგვარი იყო: „ოლიმპი“, „ამერი“, „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“.

როგორც ჩანს, ფედერაციასა და პროფლიგაში ამ საკითხზე იმსჯელეს და გუშინ ორივე ვებგვერდზე უკვე ერთნაირი ცხრილი გამოქვეყნდა — თავდაპირველ ვარიანტთაგან სწორი პროფლიგის ცხრილი გამოდგა.

# ბათუმიდანაც მიდიან

## გოგიტიძე ორ-სამ კაცზე და გაძლიერებაზე ლაპარაკობს


გურამ ტოლორდავაშვილის ფოტო

ავად თუ კარგად, „ბათუმმა“ პირველი წრე ჩაამთავრა — გუნდი მეთორმეტე ადგილზეა, ოდენ თელავის „კახეთს“ და გორის „დილას“ უსწრებს. ასე რომ, მეორე წრეში ზღვისპირელებს სერიოზული ბრძოლა მოუწევთ, ამ დროს კი გუნდი უკვე დატოვა ლიდერმა და კაპიტანმა ამირან მუჯირმა, ასევე წავიდნენ ალექსანდრე კოშკაძე და უჩა ლობჟანიძე... გუშინ ბათუმელთა მწვრთნელ ამირან გოგიტიძეს დავუკავშირდით...

— თბილისში ვიყავი და ბათუმში დღეს ჩამოვედი. ასე რომ, ფეხბურთელების წასვლაზე არაფერი ვიცი. ისე კი, კოშკაძე, ლობჟანიძე და აბშილავა იჯარით გვყავდა ნათხოვარი. ძალიან საწყენია, თუ კოშკაძეც დაგვტოვებს, ის და მუჯირი „ბათუმისთვის“ ძალიან საჭირო ფეხბურთელები იყვნენ.

**— სხვა ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— ძირითადი ბირთვის შენარჩუნებას გვინდა, რადგან კვლავ ახალი გუნდის ჩამოყალიბებაზე არ ვფიქრობთ. ერთ-ორ მოთამაშეს ალბათ გავუშვებთ. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ რამდენიმე ფეხბურთელთან და ორ-სამ კაცს დავიმატებთ — საგაისოდ აუცილებლად გავძლიერდებით.

**— კონკრეტულად, ვისზეა ლაპარაკი?**

— გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, რადგან მათი განთავისუფლების ფურცლებს ველით.

**— თასის მეოთხედფინალი კენჭისყრით კმაყოფილი ხართ?**

— პირველმა წრემ გვაჩვენა, რომ საქართველოში თამაში ყველა გუნდთან შეიძლება. მთავარია, გავძლიერდეთ და მეტოქეს მნიშვნელობა არა აქვს.

**— დაკავებული ირაკლი თოთლაძის საქმეზე სიახლე ხომ არ არის?**

— წინასწარი პატიმრობის ორთვიანი ვადა აუცილებლად უნდა მოიხადოს. უკეთესი იქნებოდა, იგი თავდებით გამოეშვათ და ისე ეთანამშრომლა გამოძიებასთან — ამით ჩვენც ვიხეირებდით. არადა, თოთლაძით საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც იყო დაინტერესებული...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლოკომოტივს შეტევა უნდა


გურამ ტოლორდავაშვილის ფოტო

პირველი წრის დასრულების შემდეგ კლუბები გულმოდგინედ ცდილობენ, სასურველ ფეხბურთელებს მოუყარონ თავი და მეორე წრეს გაძლიერებულნი შეხვდნენ. რას გეგმავს „ლოკომოტივი“ და როგორ შეივსება სამეორეწრეოდ? ამ კითხვებზე გვიპასუხა გუშინ გუნდის მწვრთნელმა ამირან მინაშვილმა

— გუნდიდან უკვე წავიდნენ ცხომარია, ებანოიძე და შველიძე. ახალწვეულები ჯერჯერობით მხოლოდ წუწუნავა და სოსელია არიან. ისინი „ლოკომოტივს“ შეკრებაზე გაჰყვებიან და ამის შემდეგ გადავწყვეტო, ჩავრიცხავთ თუ არა გუნდში.

**— ესე იგი, ჯერ „ლოკომოტივის“ წევრებად არ ითვლებიან?**

— მათ „კახეთი“ პირველი წრის დასრულებამდე დატოვეს და სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. ჩვენ ვიცით მათი შესაძლებლობები და ვთვლით, რომ ამ ეტაპზე გუნდს გამოადგებიან, თუმც ყველაფერი შეკრების შემდეგ გადაწყდება.

**— სხვა ფეხბურთელების დამატებას არ ფიქრობთ?**

— რამდენიმე ფეხბურთელის დამატება გვინდა. განსაკუთრებით შუა ხაზის და თავდასხმის გაძლიერებაზე ვფიქრობთ. მართალია, მოლაპარაკებები ჯერ არც ერთ ფეხბურთელთან არ დაგვიწყია, მაგრამ გარკვეული მონახაზი გვაქვს.

**— შეკრება ახსენეთ და, სად გეგმავთ?**

— ჯერ ზუსტად არ ვიცით, მაგრამ შეკრებას აუცილებლად გავივლით, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ არის სწორი კრივოი როგი

## ლადო ბურდულის ახალი ფორმაცია

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში აქამდეც და ახლაც ერთობ პრობლემატურია მარჯვენა ნახევარმცველის პოზიცია. კლაუს ტოპმიოლერი უფრო 4-3-3 სქემას ეყრდნობა და ასეთ მონახაზში გამოკვეთილი მარჯვენაფლანგელი თითქოს არ ჯდება, ეს სქემა უფრო გარემარბებს მიესადაგება, თუმც ისიცაა, რომ კარგ ფეხბურთელს ყოველთვის მოეძებნება გუნდში ადგილი...

კრივოი როგის „კრივბასის" ლადო ბურდული ტოპმიოლერმა ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ, ურუგვაისთან ამხანაგური მატჩისთვის მიიწვია და ათამაშა ნაკრებში, მანამდე ბურდულს 15-ჯერ ეთამაშა ეროვნულ გუნდში...

ამ ინტერვიუში ლადო საუბრობს უკრაინაზე, ყოფილ მოკრივეზე, კიდევ ერთი ქართველის დამატების მოსურნე „კრივბასზე" და კიდევ სხვაზეც...



ვაჟა ფოლადაშვილის ფოტო

— ჯერ კიდევ სეზონის დაწყების წინ „კრივბასს" ფინანსური პრობლემები ჰქონდა, ბოლო ცნობებით კი გუნდი დაშლის პირასაა...

— „კრივბასი" პრეზიდენტმა და მწვრთნელმა დატოვეს. მწვრთნელმა ალექსანდრ კოსევიჩმა მითხრა, შვებულების მერე გუნდი 5 იანვარს იკრიბება და, როცა ჩამოხვალ, ყველაფერი საბოლოოდ მაშინ გაირკვევაო. მწვრთნელ-პრეზიდენტს კლუბის აქციონერებთან მოუვიდათ უთანხმოება, თუმც შესაძლოა, ისინი გუნდში დაბრუნდნენ. კლუბს კი ფეხბურთელების ერთი თვის ხელფასი მართებს. პირველი ეტაპის ბოლო მატჩში „შახტართან" ორი თვის დავალიანების გამო სათამაშოდ არ გავდიოდით და ალბათ ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენი დავალიანება გასასტუმრებელი აქვთ.

— შენი კრივბასელი თანაგუნდელი ვასილ გიგიაძე რას აპირებს?

— ისიც გაურკვევლობაშია, ვასოსაც ზაფხულამდე აკავშირებს კონტრაქტი „კრივბასთან".

— უკრაინულ კლუბებში საკმაოდ დიდი ინვესტიციებია ჩადებული — რა ინტერესი ამოძრავებთ ინვესტორებს?

— უკრაინაში ფეხბურთელების ტრანსფერები საკმაოდ ხშირია. ხანდახან ისეც ხდება, რომ ფეხბურთელი, ვინც ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ზის, სხვა გუნდში თითქმის ნახევარ მილიონად იყიდება. კიდევ ის, რომ უკრაინის ჩემპიონატი ხალხს უყვარს. მაგალითად, ჩვენს საშინაო მატჩებზე 10-15 ათასი მაყურებელი დადის და, როცა სეზონის წინ „კრივბასის" დაშლის საფრთხე შეიქმნა, მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, მათ შორის, მერიც და ინვესტიციაც გამოჩნდა.

— „დინამოს" და „შახტარს" პირობებით ვერც ერთი უკრაინული გუნდი ვერ მიუახლოვდება?

— „დნიპრო" და დონეცკის „მეტალურგი" მათგან ძალიან შორს არ არიან, მაგრამ მაინც ვერ მიუახლოვდებიან.

— შენ და გიგიაძემ საკმაოდ რიგიანად ითამაშეთ „კრივბასში" სეზონის პირველ ეტაპზე — ხომ არ იყო „კრივბასიდან" დაინტერესება კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის მიწვევაზე?

— „კრივბასი" დინამოელი სანდრო კობახიძის შეძენით იყო დაინტერესებული, მაგრამ, როგორც გავიგე, მხარეები თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. იყო დაინტერესება დავით კვირკველიათიც, მაგრამ ალბათ აქაც იგივე პრობლემა გაჩნდა. კრივბასელები ალჩევსკის „სტალში" მოთამაშე გიორგი ციმაკურიძეზეც ფიქრობდნენ.

— „კრივბასის" მწვრთნელის გარეშე ალბათ არ გაჩნდებოდა ინტერესი ქართველი ფეხბურთელების მიმართ...

— კოსევიჩი მართლაც დიდი სიმპათიითაა განწყობილი ქართველებისადმი. სხვათა შორის, ის ყოფილი მოკრივეა და თავიდან არასერიოზულად უყურებდნენ მას, როგორც საფეხბურთო მწვრთნელს, მაგრამ კოსევიჩმა შედეგით დაამტკიცა თავისი — მას უკვე აქვს შემოთავაზებები სხვა უკრაინული გუნდებიდან. კოსევიჩი ადრე იმ დონეცკის „მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტი იყო, რომელშიც გოჩა ჯამარაული და გიორგი დემეტრაძე თამაშობდნენ.

— როცა ცხრა წლის წინ ლადო ბურდულმა თბილისის „დინამოში" დაიწყო თამაში, ის ყველას „კრივბასზე" უფრო სახელიანი და კარგი გუნდისთვის ემეტებოდა — არ გიჯობს ევროპაში, მაგალითად, მეორე ბუნდესლიგაში თამაში, საიდანაც უკეთესი შანსია, უფრო მეტს მიაღწიო?

— ახლა ისე შეიცვალა ვითარება, რომ შესაძლოა, უკრაინის საშუალო დონის გუნდი მეორე ბუნდესლიგის მოწინავე გუნდზე ერთი თავით მაღლა იდგეს. უკრაინაში თამაშით ყველანაირად კმაყოფილი ვარ, თუმც ევროპიდან უფრო მეტი შანსია უკეთეს გუნდში გადასასვლელად.

— იქნებ სწორედ „კრივბასში" თამაშის გამო აჭიანურებდა ტოპმიოლერი ნაკრებში შენ გამოძახებას...

— არა მგონია, რადგან მანამდე მან უკრაინაში მყოფი თითქმის ყველა ქართველი ფეხბურთელი გამოიძახა, მათ შორის ისინიც, სათამაშო პრაქტიკა რომ არ ჰქონდათ. ტოპმიოლერმა ჩემი თამაში ორჯერ ნახა თბილისის „დინამოში", მერე, როგორც მითხრეს, ტელევიზიით უყურა უკრაინის ჩემპიონატის ერთ თამაშს.

— „კრივბასში" რა ფორმაციის ფეხბურთელად ჩამოყალიბდი?

— მარცხენა გარემარბი, გამთამაშებელი, მარჯვენა გარემარბი — მთელი მატჩის განმავლობაში, ფაქტობრივად, სამ პოზიციას ვიცვლი. სამჯერ ვითამაშე საყრდენ ნახევარმცველადაც. სხვათა შორის, ურუგვაისთან მატჩის წინ ტოპმიოლერმა ვარჯიშზე მკითხა, უფრო კომფორტულად რა პოზიციაზე გრძნობ თავს და შენი კლუბი რა ტაქტიკით თამაშობსო. ვუპასუხე, უფრო მარჯვენა ფლანგზე ვარ-მეთქი.

— ურუგვაისთან ამავე პოზიციაზე ითამაშე — რამდენად კმაყოფილი დარჩი საკუთარი თავით?

— დაძაბულობას ვერ ავცდი, რადგან საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ ვითამაშე ნაკრებში და თან ახალი მწვრთნელის თვალწინ. დიდი მოცულობის სამუშაო შევასრულე, თუმც დაძაბვის გამო შეტევაში ბოლომდე ვერ გავიხსენი.

— მალე ისევ კრივოი როგში დაბრუნდები — როგორია ცხოვრება ამ ქალაქში?

— მწვრთნელი გვირჩევს, მხოლოდ ფეხბურთით ნუ იცხოვრებთ და განტვირთვაც საჭიროაო. კრივოი როგი პატარა ქალაქია, ფეხბურთელებს ყველა გვცნობს და ყურადღების ცენტრში ყოფნას ვერიდები. კრივოი როგი თავისებური ქალაქია, 170 კილომეტრზე გრძივადაა გაშენებული და სხვა ინდუსტრიულ ქალაქებზე უკეთესი ჰაერია, რადგან მეტალურგიული ქარხანა ქალაქგარეთაა. მოკლედ, რესტორანში წასვლას ხშირად ვასოსთან სტუმრობა და მისი მეუღლის მომზადებული გემრიელი კერძები მირჩევნია.

**დავით თავართქილაძე**

# მიხეილ აშვეთია: ალბათ რუბინში დავრჩები



საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის" თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია შვებულებაშია და თან სამომავლო საქმეებს აგვარებს — აშვეთია და „რუბინი" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ფიქრობენ. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და ალბათ თვის ბოლომდე ყველაფერი საბოლოოდ დასრულდება...

— „რუბინის" პასუხს ველი. გუნდი შვებულებაშია და ამ დღეებში ალბათ არაფერი გაირკვევა — გვითხრა გუშინ მიხეილ აშვეთიამ.

— როგორ ფიქრობ, მომავალ სეზონსაც „რუბინში" გაატარებ?

— ზუსტად ვერაფერს გეტყვი. ყველაფერი მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული.

— შენი სურვილი როგორია?

— დარჩენაზე უარს არ ვიტყოდი. იქაურობას უკვე შევეჩვიე, გუნდიც მომწონს, ამბიციებიც სერიოზული აქვს, ასე რომ...

— ძველი კონტრაქტი უკვე დაგიმთავრდა?

— ჯერ არა, დეკემბრის ბოლოს მიმთავრდება.

— „რუბინის" გარდა სხვა რა ვარიანტები გაქვს?

— რამდენიმე კლუბმა უკვე შემომთავაზა მათთან გადასვლა და ვნახოთ... ჯერ „რუბინთან" უნდა გავარკვიო ურთიერთობა.

— მაინც რომელი კლუბები გიწვევენ?

— ამას ვერ გავამხელ, მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ყველა წინადადება რუსეთიდანაა.

— არადა, სხვა ქვეყნებსაც ასახელებდნენ...

— არა, ასეთი რამ პირველად მესმის.

— ამ სეზონზე რას იტყვი? შენი თამაშით მაინცდამაინც კმაყოფილი არ უნდა იყო...

— კმაყოფილი როგორ ვიქნები, როცა ამდენი ტრავმა გადავიტანე...

— კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა შედეგებით?

— ხუთეული უნდოდათ და მიიღეს, რითაც კმაყოფილნი დარჩნენ. სასაყვედურო არავის ჰქონია...

— უფრო სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა არ შეგიძლიათ?

— ძალიან ძნელია. ვფიქრობ, „რუბინს" სამეულისთვის ბრძოლა შეუძლია, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება. პრემიერლიგაში ძალიან დიდი კონკურენციაა.

— რუსეთში როდის მიდიხარ?

— ხვალ მოსკოვში უნდა ჩავიდე ათი დღით.

**კახა შალამბერიძე**

# ხანდახან გაბრაზება წამგებიანია

## იუვემ ნედვედის ფეხს მხარი შეუდგა

**„იუვენტუსმა“ პაველ ნედვედს მხარი დაუჭირა. მოგეხსენებათ, ჩეხ ვეტერანს „ჯენოასთან“ გასული პარასკევის შეხვედრაში მსაჯმა სტეფანო ფარინამ წითელი ბარათი აჩვენა, ხოლო იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა, მოგვიანებით, ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. გაძევების მიზეზი მეტოქისთვის, კერძოდ ფრანჩესკო ბეგასთვის ფეხის დაბიჯება, სასტიკი სასჯელის მიზეზი კი იგივე საქციელი გახლდათ, ოღონდ მსაჯის მიმართ. მოკლედ, ფეხბურთელს და მსაჯს შორის განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მეორეს ნედვედმა ფეხზე მდგომს დააბიჯა, პირველს კი წაქცეულს**



ასე იყო თუ ისე, „იუვენტუსმა“ თავიდან ნედვედის დისკვალიფიკაციასთან შეგუება გადაწყვიტა და ფეხბურთელს ·გაჩუმებაც კი სთხოვა, მაგრამ ჩეხმა კატეგორიული პოზიცია დაიჭირა, განაცხადა, რომ გაჩუმებით კლუბი უსამართლობას ეგუება და ფეხბურთიდან საერთოდ წასვლით დაიმუქრა.

„პაველი უნდა დამშვიდდეს, რადგან ჩვენ იგი გასაჭირში არ მიგვიტოვებია — განაცხადა გაზეთ „ტუტოსპორტთან“ საუბარში „ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ — ის ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა. ის მათ შორისაა, ვინც კალჩოპოლის სასჯელის მიუხედავად, ჩვენგან არ წავიდა და ახლანდელი გუნდის ნამდვილი ძრავაა. რა საკვირველია, ჩვენ ბეგას წინააღმდეგ ჯარიმას არ უარვყოფთ, წითელი ბარათი მსაჯმა სამართლიანად აჩვენა, მაგრამ ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია მეტისმეტი იყო. ჩვენ ნედვედს კარგად ვიცნობთ, ის მოედანზე ფიცხია, მაგრამ ის, რომ მან მსაჯს განზრახ დააბიჯა, უბრალოდ დაუჯერებელი გახლავთ“.

საინტერესო რამ მოხდა ოთხშაბათს — „იუვენტუსის“ გენერალური მენეჯერი ჟან-კლოდ ბლანი ფეხბურთელებს შეხვდა და უთხრა, რომ რაც არ უნდა მოხდეს, კლუბი ყოველთვის მათ მხარეს იქნება.

„ფეხბურთელებმა თამაშზე უნდა იფიქრონ და მსაჯებთან კამათისგან თავი შეიკავონ, რადგან ჩვენი კლუბი პროჟექტორის ქვეშაა. მერედა, ხანდახან პროტესტის გამოთქმა საზიანოა, ამიტომ თავშეკავებაც საჭიროა. სხვა მხრივ კი ჩვენ ჩვენს ფეხბურთელებს ყოველთვის დავიცავთ და საამისოდ ყველა ხერხს მივმართავთ“.

კომენტარი სთხოვეს „იუვენტუსის“ კაპიტანს ალესანდრო დელ პიეროსაც. სხვათა შორის, დელ პიერო გამოჯანმრთელდა და შაბათს „ვერონასთან“ მოედანზე იქნება.

„ნედვედს ჩემგან ჭკუის სწავლება არ სჭირდება — იყო დელ პიეროს პასუხი — მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ხანდახან გაბრაზება წამგებიანია“.

„ვერონასთან“ დაპირისპირება კი საგანგებო მოვლენა იუვენტუსელი მაურო კამორანეზისთვის გახლავთ. „ვერონა“ ხომ სწორედ ის გუნდია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონს იტალიურ ფეხბურთში პირველი ნაბიჯები გადაადგმევინა.

შეგახსენებთ, რომ არგენტინელმა კამორანეზიმ კარიერა 1996 წელს მექსიკაში, „სანტოს ლაგუნაში“ დაიწყო, საიდანაც „ბანფილდსა“ და ერთი ხნის შემდეგ „კრუს ასულში“ გადავიდა. აი, „კრუს ასულის“ შემდეგ კი, 2000 წელს უკვე „ვერონა“ იყო.

„ჩემთვის შაბათის მატჩი საგანგებოა — ამბობს კამორანეზი — ჩემი „ვერონას“ წინააღმდეგ პირველად ვთამაშობ. ამაზე აქამდე არასდროს მიფიქრია და ახლა, როდესაც „ვერონას“ წინააღმდეგ თამაში სინამდვილედ იქცა, ვერც კი გავრკვეულვარ რა გრძნობა დამეუფლა. ეჭვი არ არის, როდესაც იმ მოედანზე შევდგამ ფეხს, რომელთანაც მრავალი ბედნიერი წამი მაკავშირებს, ეს ყველაფერი გამახსენდება. მახსოვს რა ძნელი იყო პირველი ექვსი თვე ვერონაში. განსაკუთრებით ხალხთან ურთიერთობა მიჭირდა, ენა არ ვიცოდი. დიახ, იტალიურად ერთ სიტყვას ვერ ვამბობდი, მაგრამ კეთილ ხალხს რა გამოლევს. მე ბრაზილიელი თავდამსხმელი ადაილტონი (ის „ჯენოაში“ თამაშობს და „იუვენტუსსა“ და კამორანეზის წინა ტურში, სწორედ იმ შეხვედრაში დაუპირისპირდა, რომელშიც ნედვედის ზემოხსენებული ინციდენტი მოხდა) ამომიდგა მხარში. იმხანად ადაილტონი „ვერონაში“ თამაშობდა და ესპანურისა და პორტუგალიურის ნაზავით გავყავდი ფონს“.

შემდეგ კამორანეზიმ გაიხსენა, რამ გააოცა იტალიაში პირველად.

„ძალიან გავოცდი, როდესაც დავინახე თუ რამდენ საათს ხარჯავენ მწვრთნელები ტაქტიკაზე კამათსა და საუბარში. შემდეგ ძალიან გამაკვირვა მიზანმაც, რომელსაც კლუბი ისახავდა. ეს სერია A-ში ადგილის შენარჩუნება გახლდათ და მეტი არაფერი. სამხრეთ ამერიკაში სულ სხვანაირი მიდგომებია. ჩვენ ყოველ თამაშში მოგებას ვაპირებდით, ხოლო სეზონის დაწყების წინ სიტყვა გავარდნა არავის წამოსცდებოდა“.

და ბოლოს, ისე როგორ იქნებოდა კამორანეზის „იუვენტუსის“ მიიდინარე ამბებზე რომ არ ელაპარაკა.

„ჩვენ სერია B-ში ყველაზე ძლიერები ვართ და კალჩოპოლის გამო დაკლებული ქულები რომ არა ძალიან წინ ვიქნებოდით. ამის მიზეზი ჩვენი კლუბის მეტისმეტად მაღალი დონეა. სერია B ნამდვილად კონკურენციით სავსე ლიგაა, მაგრამ ჩვენ ვთამაშობთ როგორც გვეხერხება და თვალშისაცემ სხვაობას ვიღებთ“.

**პაპუნა ძედია**

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეჯინა | : | ასკოლი |
| პალერმო | : | ლივორნო |
| **ხვალ** | | |
| კალიარი | : | პარმა |
| ატალანტა | : | მესინა |
| კატანია | : | უდინეზე |
| კიევო | : | ფიორენტინა |
| ლაციო | : | რომა |
| ემპოლი | : | ინტერი |
| მილანი | : | ტორინო |
| სამპდორია | : | სიენა |



# იტალია

## ტოტის კოჭი

**იტალიური** კალჩოს მე-15 ტურმა „ლაციო“ — „რომა“ ანუ დერბი დელა კაპიტალე მოიტანა. სხვა სიტყვებით, ერთმანეთს იტალიის დედაქალაქის ორი გუნდი ხვდება. კალენდრის თანახმად მასპინძელია „ლაციო“, რომელიც ბოლო სამ თამაშში გამარჯვების შემდეგ მეშვიდე ადგილზე წყნარად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე მოკალათდა, სტუმარი კი „რომაა“, სკუდეტოს პრეტენდენტი, რომელსაც ამ სეზონში პრესა-ტელევიზიის ყურადღება არ აკლია.

ისე, „ლაციო“ უხმაუროდ მიდისო კი ვთქვით, მაგრამ შეგახსენებთ, რომ კალჩოპოლის სკანდალის გამო „ბიანკოჩელესტის“ სეზონი მინუს სამი ქულით დააწყებინეს, ხოლო ეს გარემოება რომ არა, 21 ქულით მეოთხე ადგილზე იქნებოდა...

თუმცა, ზედიზედ მოპოვებული გამარჯვებებით „ლაციო“ „რომას“ ვერ შეედრება — „ჯალოროსიმ“ ზედიზედ ექვსჯერ მოიგო. ამას დაამატეთ სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში „ვალენსიას“ 1:0 ძლევა და ისტორიაში პირველად ამ დიდი ევროპული შეჯიბრების პლეი ოფში გასვლა, რაც რომაელებმა 2001-02 წლების სეზონშიც კი (როდესაც არც მეტი არც ნაკლები იტალიის ჩემპიონები გახდნენ) ვერ შეძლეს და ერთხელაც დარწმუნდებით, რომ „სტადიო ოლიმპიკოზე“ საინტერესო თამაშია მოსალოდნელი.

„ჩემპიონთა ლიგაში მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. ამ მოგებამ ჩვენს ბოლოდროინდელ მეცადინეობებს გვირგვინი დაადგა — ამბობს „რომას“ თავკაცი ლუჩანო სპალეტი, რომელმაც გუნდს სწორედ ის შესძინა, რაც 2004 წელს ფაბიო კაპელოს წასვლის შემდეგ ვერავინ მოუტანა — ერთსულოვნება“. სპალეტის ხელმძღვანელობით „რომა“ კვლავ ჩემპიონობის კანდიდატია, მიმზიდველ, მოკლეპასებიან, მაღალი კლასის ფეხბურთს თამაშობს და სერია A-ში ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი — „ლაციოს“ ყველა მიზეზი აქვს ამ შეხვედრაში განსაკუთრებით რომ მოინდომოს, არა?

მაგრამ „რომას“ კაპიტანი, ლიდერი, ბომბარდირი და მთავარი მოქმედი პირი ფრანჩესკო ტოტი ჰყავს დაშავებული. მან „ვალენსიასთან“ მატჩი გამოტოვა.

„კოჭი მტკივა, მაგრამ ყველა ღონეს ვიხმარ „ლაციოს“ წინააღმდეგ რომ ვითამაშო“ — განაცხადა მიმდინარე ჩემპიონატში 9 გოლის ავტორმა.

„ლაციო“ კი ბოლოს ხუთი წლის წინ იყო იტალიის ჩემპიონი და მას მერე წვალობს, ხან გაკოტრებას ებრძვის და საუკეთესო ფეხბურთელებს ყიდის, ხანაც გუნდს ვერ კრავს, თუმცა 56 წლის დელიო როსი როგორც თანდათანობით ჩანს, სწორედ ის მწვრთნელია, რომელსაც ამ გუნდში სხვებზე მეტი შეუძლია. იგი „ბიანკოჩელესტის“ ღონიერ კონტრშეტევაზე მოთამაშე გუნდად აყალიბებს. გუნდის თავდასხმაში ტომაზო როკისა და გორან პანდევის წყვილი ყოჩაღობს, ხოლო კარს გამოცდილი ანჯელო პერუცი იცავს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 14 | 11 | 3 | 0 | 29:14 | 36 |
| რომა | 14 | 10 | 2 | 2 | 32:11 | 32 |
| პალერმო | 14 | 9 | 1 | 4 | 27:18 | 28 |
| ლივორნო | 14 | 5 | 5 | 4 | 15:15 | 20 |
| კატანია | 14 | 5 | 5 | 4 | 20:26 | 20 |
| ემპოლი | 14 | 4 | 7 | 3 | 12:10 | 19 |
| ლაციო | 14 | 6 | 3 | 5 | 22:13 | 18 |
| ატალანტა | 14 | 4 | 5 | 5 | 21:22 | 17 |
| უდინეზე | 14 | 4 | 5 | 5 | 14:15 | 17 |
| სიენა | 14 | 4 | 6 | 4 | 13:16 | 17 |
| ტორინო | 14 | 4 | 5 | 5 | 10:17 | 17 |
| სამპდორია | 14 | 4 | 4 | 6 | 21:21 | 16 |
| კალიარი | 14 | 2 | 9 | 3 | 13:14 | 15 |
| მესინა | 14 | 3 | 5 | 6 | 16:22 | 14 |
| მილანი | 14 | 5 | 5 | 4 | 14:14 | 12 |
| კიევო | 14 | 2 | 4 | 8 | 13:19 | 10 |
| პარმა | 14 | 2 | 3 | 9 | 12:27 | 9 |
| ფიორენტინა | 14 | 7 | 2 | 5 | 21:15 | 8 |
| ასკოლი | 14 | 0 | 6 | 8 | 9:21 | 6 |
| რეჯინა | 14 | 4 | 5 | 5 | 15:19 | 2 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

სხვა მხრივ კი, იტალიაში ერთი შეხედვით სიმშვიდეა, „ინტერი“ ემპოლიში მიდის, ოღონდ ფრანგი ნახევარმცველის პატრიკ ვიეირას გარეშე. რატომ გამოვყავით ვიეირა ასე საგანგებოდ? იმიტომ, რომ მან ორი კვირის წინ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კონკურენტს „პალერმოს“ გაუტანა და ამ კვირაში, ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნსაც“ მიაყოლა ერთი გოლი. ვიეირა დისკვალიფიცირებულია და სავარაუდოდ, მას ესტებან კამბიასო შეცვლის.

„პალერმო“ „ლივორნოს“ ეთამაშება და შეეცდება სამი მოუგებელი მატჩის შემდეგ ნავსი გატეხოს.

**პაპუნა ძედია**

# გენერლის დაკრძალვა



**დღეს** უნგრეთი ფერენც პუშკაშს საბოლოოდ გამოეთხოვება. გუშინ ლეგენდარული ფეხბურთელის ცხედარი ბუდაპეშტის წმინდა სტეფანის ტაძარში დაასვენეს, რათა მითიურ კაცთან დამშვიდობება მთელმა ქვეყანამ მოახეროს. პუშკაშს მიწას დღეს მიაბარებენ და სამგლოვიარო ცერემონიალს მსოფლიოს ფეხბურთის გამოჩენილი ხალხი დაესწრება.

მადრიდის „რეალიდან“ წარმომადგენლებად სამეფო კლუბის პრეზიდენტი რამონ კალდერონი და პუშკაშის ძველი თანაგუნდელები, სანტამარია, პაჩინი, ზოკო, ამანსიო და ველასკესი იქნებიან. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მეგობარს უკანასკნელ გზაზე ორი დიდი მადრიდელი, ალფრედო დი სტეფანო და ფრანსისკო ხენტო ვერ გააცილებენ. ასევე არ იქნება პელეც, რომელიც დამკრძალავ კომისიას თავისი შეტყობინება გაუგზავნა: „დიდ კომანდანტეს მწუხარებით ვემშვიდობები. ფერენც პუშკაში ჩემი მეგობარი და მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი იყო“.

დასაფლავებაზე იქნებიან იოზეფ ბლატერი, ჟაკ როგი, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანხელ მარია ვილარი, ხუან ანტონიო სამარანჩი, მიშელ პლატინი, ფრანც ბეკენბაუერი, ოტმარ ვალტერი, რაიმონ კოპა და ბერძნული „პანათინაიკოსის“ 15 ფეხბურთელი, რომელთა მწვრთნელიც თავის დროზე პუშკაში გახლდათ. სამგლოვიარო ცერემონიალი ბუდაპეშტის „ფერენც პუშკაშის“ სტადიონზე დაიწყება. იქ მითიურ კაცთან დამშვიდობება გულშემატკივრებს შეეძლებათ. შემდეგ პროცესია გმირთა მოედანზე გადაინაცვლებს, სადაც ლეგენდარულ ფეხბურთელს სამხედრო პატივს მიაგებენ. პუშკაშს გარდაცვალების შემდეგ უნგრეთის მთავრობამ ბრიგადის გენერლის წოდება მიანიჭა.

საღამოს 7 საათზე დიდ უნგრელს წმინდა სტეფანის ბაზილიკაში კათოლიკურ მესას გადაუხდიან. რესპუბლიკის პრეზიდენტი ლასლო სოლიუმი გამოსათხოვარ სიტყვას წარმოთქვამს, ხოლო ტაძრის ფასადს პუშკაშის ვეებერთელა ფოტოთი დაფარავენ. ტაძარში 30 ათას სანთელს და 500 ჩირაღდანს აანთებენ...

**ლადო ხომერიკი**



# მამა დაიბარეს

**მილანის** „ინტერმა“ ლიონელ მესის რომ დაადგა თვალი, უკვე ცნობილია „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, 19 წლის ნიჭიერი არგენტინელის მამა და აგენტი ხორხე რამდენიმე დღით იტალიაში ყოფილა და „ნეროაძურის“ ხელმძღვანელებსაც შეხვდა. აღვნიშნოთ ისიც, რომ მესის ძარღვებში იტალიური სისხლის ჩქეფს. მისი და მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელი ლეგიონერი სისინიოს ბაბუები იტალიელები არიან და თავის დროზე მეზობლადაც ცხოვრობდნენ.

ახალგაზრდა ვარსკლავს „ბარსელონასთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს და მის გამოსასყიდად ძალიან დიდი თანხაა საჭირო. თუმცა „ინტერის“ მფლობელი მასიმო მორატი არ მალავს, რომ მესისადმი დიდი სიმპათიითაა განწყობილი და მის ხელში ჩაგდებას მაქსიმალურად ეცდება.

ამბობენ, თუ მორატის ეს ტრანსფერი ახლო მომავალში არ გამოუვიდა, მესის ყიდვას 2008 წელს მაინც ეცდება, რათა „ინტერსა“ და მის ქომაგებს 2008 წლის მარტისთვის კლუბის დაარსების ასი წლისთავზე კარგი საჩუქარი გაუკეთოსო.

ცოტა ხნის წინ, არგენტინული და მსოფლიოს ფეხბურთის ლეგენდამ დიეგო არმანდო მარადონამ კიდევ ერთხელ შეაქო მესი და განაცხადა, თუ მორატის მისი ყიდვა უნდა, ამისთვის ყველაფერი გააკეთოს, არ ინანებსო. მისი აზრით, „ინტერში“ გადასვლა მესისთვისაც არ იქნება ცუდი.

გავრცელებული ცნობით, შესაძლოა, „ნეროაძურიმ“ „ბარსელონას“ ფულთან ერთად ადრიანო შესთავაზოს. აქვე ვთქვათ, რომ მილანელთა ბრაზილიელი ფორვარდით ესპანური „ვალენსიაა“ დაინტერესებული.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მაგიური ხიმენესი



**მადრიდის** „ატლეტიკო“ ლუის ხიმენესის შეძენითაა დაინტერესებული. ჩილელი ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას იტალიური „ინტერი“, „რომა“ და „პალერმოც“ ცდილობენ. ხიმენესი სერია C1-ს „ტერნანას“ საკუთრებაა, თუმცა უახლოეს მომავალში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო, დაბალლიგელ კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტას აპირებს. ჩილელის ადვოკატები მედიასთან აცხადებენ, რომ პროცესი ფეხბურთელის სასარგებლოდ მიმდინარეობს და ლუისი „ტერნანასგან“ თავის დაღწევას დეკემბრის ბოლოს მოახერხებს.

ხიმენესს ჩილეში ჩაუქი ბურთაობის გამო „მაგს“ ეძახიან. იგი „ატლეტიკოს“ სატრანსფერო სამიზნეზე ზაფხულშიც იყო, მაგრამ „ტერნანასთან“ დაკავშირებულმა პრობლემებმა „ათლეტებსაც“ და სხვა დაინტერესებულ კლუბებსაც ლუისის შეძენაზე მაშინ ხელი აალებინა. გასულ სეზონში ოკეანისგაღმელმა „ფიორენტინაში“ ხუთი თვით იჯარით იბურთავა და წარმატებასაც მიაღწია. ხიმენესმა „ფიორენტინას“ შემადგენლობაში 19 მატჩი ჩაატარა, 3 გოლი შეაგდო და „იების“ საუკეთესო მეგოლე ლუკა ტონი პასებით მოამარაგა. სეზონის მიწურულს ხიმენესი ისევ უფერულ „ტერნანას“ დაუბრუნდა და „ატლეტიკოს“ დიდი მცდელობის მიუხედავად, იქიდან თავის დაღწევა ვერ შეძლო.

დღეს „მაგი“ სერია C-ში ყურყუტით დაიღალა და სასამართლოს მიმართა, რათა ამჟამინდელი კლუბის მარწუხებიდან განთავისუფლდეს. ჩილელი მოიერიშე ტიპის ნახევარმცველია, რომელსაც მოედნის ცენტრში და ფლანგებზე თამაში ერთნაირად ლაზათიანად ეხერხება. ცოლიც ახლახან მოიყვანა და თაფლობის თვეს სამშობლოში გაატარებს, სადაც იტალიური სასამართლოს გადაწყვეტილებას და აბეზარი „ტერნანადან“ თავის დახსნას დაელოდება.

**ლადო ხომერიკი**

# ლოტიტომ ოდდო დახლზე არ დადო



**რომის** „ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ კიდევ ერთხელ გამორიცხა გუნდის კაპიტან მასიმო ოდოს იანვარში გასხვისების ვარიანტი. მოგეხსენებათ, 30 წლის ფეხბურთელს დიდი ხანია, რამდენიმე კლუბს უკავშირებენ, „მილანის“ თამადობით. ცოტა ხნის წინ კი „ბიანკოჩელესტის“ მწვრთნელმა დელიო როსიმ თქვა, თუ ვინმეს წასვლა უნდა, ძალით არ დავაკავებთ, ყველას თავისი ფასი აქვსო. ამან ოდოს გარშემო ახალი ჭორები ააგორა.

„ოდოს შესახებ ჯერ სერიოზული წინადადება არ მიგვიღია და ამ საკითხს თავის დროზე განვიხილავთ ანუ 2008 წელს, მისი ტრანსფერის ვადის ამოწურვამდე. ახლა ყველამ უნდა გაიგოს, რომ მასიმო არ იყიდება“ — თქვა პრეზიდენტმა.

სეზონის ბოლოს „ლაციოსთან“ კონტრაქტის ვადა ეწურება ლუჩანო ძაურის, რომელზედაც ამბობენ, ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით ტურინის „იუვენტუსში“ ჩაირიცხებაო. თუმცა პრეზიდენტმა ესეც უარყო — ფეხბურთელთან სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია, რამდენიმე დეტალსაც მოვაგვარებთ და კონტრაქტს გავახანგრძლივებთო.

ლოტიტომ კომენტარი მომავალ რომაულ დერბიზეც გააკეთა: „იმედია, ეს მატჩი ყველა წესის დაცვით და ღირსეულად ჩაივლის. დაე, უძლიერესმა მოიგოს. ვიმედოვნებ, „ლაციო“ ისეთივე შემართებით ითამაშებს, როგორითაც ბოლო რამდენიმე მატჩი ჩაატარა. ჩვენ ბევრზე უკეთ გამოვიყურებით, მაგრამ ხშირად იმ შემდეგს ვერ ვიღებთ, რომელსაც ვიმსახურებთ. სამწუხაროდ, ფეხბურთში ასეთი რაღაცები ხდება“.

**კოკი კანდელაკი**

# კლინსმანმა კლინსმანი ამოშალა

**იურგენ კლინსმანმა** დაადასტურა, რომ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან და კერძოდ, პრეზიდენტ სუნილ გულატისთან საუბარი ჰქონდა, მაგრამ გერმანელმა მისი აშშ-ს ნაკრების მწვრთნელობის შესაძლებლობა გამორიცხა.

„მე და სუნილმა რამდენჯერმე ვისაუბრეთ. ცხადია, ამერიკის ნაკრებზე და მისი განვითარების გეგმებზე, მაგრამ კანდიდატთა სიიდან ჩემი გვარი ამოვშალე. სხვა დეტალებზე ლაპარაკს არ ვაპირებ. აშშ-ს ნაკრების მომავალ მწვრთნელს კი დიდ წარმატებას ვუსურვებ. ასევე მადლობას ვუხდი სუნილს, რომ მასთან იდეების გაცვლის საშუალება მომეცა“ — აღნიშნა კლინსიმ.

კლინსმანის უარი ამერიკის ფეხბურთის ფედერაციისთვის ალბათ ძალიან სამწუხაროა, რადგან გულატისა და სხვა ხელმძღვანელებს გერმანელთან შეთანხმება ძალიან სურდათ. აშშ-ს დროებით, სავარაუდოდ, ბობ ბრედლის ჩააბარებენ, რომელიც „მეიჯორლიგის“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია. 20 იანვარს დანიასთან ამხანაგურ მატჩში ნაკრებს იგი უთავკაცებს და მერე შეიძლება ფედერაციასთან ხანგრძლივი კონტრაქტიც გააფორმოს.

**კოკი კანდელაკი**

# მაურინიუმ შევას ხელი შეახო



**ანდრეი შევჩენკოს** ამასწინანდელ ნალაპარაკევზე, რომ „ჩელსი“ მისით უკმაყოფილოა და შესაძლოა, იანვარში „მილანს“ მიაქირაონ, ჟოზე მაურინიუმ ჩვეული რთული პასუხი გასცა.

მაურინიუმ თქვა, რომ შევჩენკოს არ აქვს გარანტირებული ადგილი ძირითადში და რომ „ჩელსიში“ 9 ხელშეუხებელი ფეხბურთელია და მათ შორის ის არის. „იმიტომ, რომ ის ასე თამაშობს — განმარტა მაურინიუმ — მე ძირითადში საუკეთესოს ვაყენებ. ვფიქრობ, შევას დრო უნდა მივცეთ. სხვა კი რა გითხრათ? მაკელელე ხელშეუხებელია იმიტომ, რომ ასე თამაშობს, ესიენიც ხელშეუხებელია, იმიტომ, რომ ასე თამაშობს. ფრენკ ლამპარდი ხელშეუხებელია, თავისი თამაშის გამო. იმიტომ კი არა, რომ ისინი მიყვარს და სხვები არა, არამედ იმიტომ, რომ ასე თამაშობენ. ბალაკი, კარვალიუ, ეშლი კოული, დროგბა, ჯონ ტერი ხელშეუხებლები არიან. მარჯვენა მცველი ხელშეუხებელი არ არის. იქ ბიჭები იცვლებიან. ასევე შევჩენკოც.“

მაურინიუმ უარყო, რომ მას რომან აბრამოვიჩი შევჩენკოს ძირითადში დაყენებას აიძულებს. „ასე არ ყოფილა — თქვა მაურინიუმ — ასე რომ მოიქცეს, იმას ნიშნავს, რომ მენეჯერისა არ სჯერა. თუ არ სჯერა, იოლად მომხსნის. კომპენსაციას გადამიხდის და სხვას მოიყვანს.“

**ირაკლი გამყრელიძე**



# ყოყლოჩინა ანრი

**საფრანგეთის** ნაკრების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი და პატრიკ ვიეირა ტიერი ანრის მხარდასაჭერად გაერთიანდნენ მას შემდეგ, რაც „ლე ჟურნალ დუ დიმანშის“ ფურცლებზე ნაკრების ინკოგნიტო ფეხბურთელის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

უცნობი ნაცნობი ანრის „ყოყლოჩინას“ და „ეგოისტს“ უწოდებს.

ამ კვირაში ანრი ძალიან გაანაწყენა ამ წერილმა, ამას არსენ ვენგერთან ჩხუბი და ტრავმაც დაერთო და აჭრილ მეგობარს ვიეირამ შეაშველა ხმა „ლეკიპის“ ფურცლებიდან:

„ის, რაც ინტერვიუშია, ტყუილია. დომენეკის ხელში ნაკრებში შიდა პრობლემები არ ყოფილა.

ტიერის დავურეკე კიდეც, რომ დამემშვიდებინა. ეს შეთითხნილი ამბავია. რაღაც მსგავსი მართლა რომ იყოს, უბრალოდ, გავჩუმდებოდი და მორჩა.“

დომენეკმა კი თქვა: „ასეთი სტატიების მიზანი ისაა, რომ ნაკრები რაღაც კლანებად დაყოფილ გუნდად წარმოადგინონ. ორ წელიწადზე მეტია, ვაშენებდით ადამიანურ ატმოსფეროს გუნდში და საწყენია, რომ სტატიაში ვიღაცის ეგოიზმზეა ლაპარაკი. ეს სიცრუეა.“

**ირაკლი გამყრელიძე**

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ტოტენჰემი | : | ჩარლტონი |
| უოტფორდი | : | რედინგი |
| ბლექბერნი | : | ნიუკასლი |
| ბოლტონი | : | ვესტ ჰემი |
| ლივერპული | : | ფულემი |
| მანჩესტერი | : | სიტი |
| მიდლსბრო | : | უიგანი |
| პორტსმუთი | : | ევერტონი |
| **ხვალ** | | |
| ჩელსი | : | არსენალი |
| **ზეგ** | | |
| შეფილდი | : | ასტონ ვილა |

# ინგლისი

# დიდი გარჩევა ორ დიდ ქალაქში

**„მანჩესტერ სიტი“** ამ სეზონში არ ბრწყინავს, მაგრამ რაც არ უნდა უჭირდეს, თანაქალაქელ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ყოველთვის ორმაგი მონდომებით თამაშობს და ხშირად ამწარებს კიდეც მას. ასე ხდება ბოლო წლებშიც, მაგრამ „სიტის“ „ოლდ ტრეფორდზე“ თამაში ძალიან უჭირს, სადაც ბოლოს 1974 წლის 27 აპრილს „წითელი ეშმაკების“ ყოფილი ვარსკვლავის დენის ლოუს ერთადერთი გოლით მოიგო.

თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოიგებს, ეს სერ ალექს ფერგიუსონის ხელში გუნდის 450-ე გამარჯვება იქნება. რაც ყველაზე მთავარია, „წითელი ეშმაკები“ „ჩელსისთან“ უპირატესობას ცხრა ქულამდე გაზრდიან და ეს ლონდონელებისთვის დამატებითი ფსიქოლოგიური ტვირთი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსის“ იმ დროისთვის „მანჩესტერზე“ ორი მატჩით ნაკლები ექნება გამართული.

146-ე მანჩესტერული დერბიდან 164-ე ლონდონურ დერბიზე გადავინაცვლოთ. „ჩელსისა“ და „არსენალს“ ერთმანეთი არასდროს უყვარდათ, ბოლო წლებში კი ურთიერთობა კიდევ უფრო დაეძაბათ. ჟოზე მაურინიუმ და არსენ ვენგერმა რამდენჯერმე გამოლანძღეს ერთმანეთი, ზაფხულში კი „ჩელსიმ“ „მეთოფეებს“ წამყვანი მცველი ეშლი კოული წაჰგვარა. უილიამ გალასი პირიქით, „სტემფორდ ბრიჯიდან“ „ემირატ სტედიუმზე“ გადაბარგდა, თუმცა ფრანგის ამ მატჩში თამაში ტრავმის გამო სათუოა.

„ჩელსიში“ გადასვლის შემდეგ კოულმა „არსენალს“ ბრალი დასდო, გმირიდან ფანების საძულველ ფეხბურთელად და მოლალატედ მაქციესო. შესაბამისად, თავის ყოფილ გუნდთან პირველ შეხვედრაში იგი თბილ მიღებას არ უნდა ელოდოს.

„ვიცი, ფანების დიდი ნაწილი ჩემზე გაბრაზებულია, მაგრამ საკუთარ თავთან მართალი ვარ და ვეცდები, მინდორზე მშვიდი ვიყო. ბევრს ჰგონია, რომ ფულის გამო წავედი, რაც ტყუილია. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს „არსენალს“ აღარ ვჭირდებოდი“ — თქვა კოულმა.

„არსენალის“ გერმანელი მეკარე იენს ლემანი: „რა თქმა უნდა, ეშლი ფანებისგან კრიტიკას უნდა ელოდოს. ეს ფეხბურთია და ასეთი ნიუანსები მას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. კოული კი ამბობს, რომ აქ თითქოს აღარ სჭირდებოდათ, მაგრამ ეს ასე არ არის, იგი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო“.

„მეთოფეებისთვის“ ეს სეზონი არცთუ კარგად მიმდინარეობს, რაც ტრავმების ბრალიცაა. ამჟამად გუნდის ლიდერი ტიერი ანრიც დაშავებულია. „ჩელსის“ კარს ალბათ რობინ ვან პერსი და ემანუელ ადებაიორი შეუტევენ. შესაძლოა, თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდა თეო უოლკოტსაც მიეცეს. მაურინიუს შემადგენლობასთან პრობლემა არ აქვს.



ეშლი კოული ყოფილ გუნდს უმასპინძლებს

ჰარი რედნაპის ყოჩი „პორტსმუთი“ „ევერტონს“ მასპინძლობს. „ლივერპული“ კი „ფულემს“ დაუხვდება. ხოლო ამ სეზონის სიურპრიზი და ლიდერებში შემძვრალი „რედინგი“ ბოლოადგილოსან „უოტფორდს“ სტუმრობს.

**გიორგი. კაკაბაძე**

| № | | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 0:1 | 3:0 | 2:0 | | 3:0 | | | 1:0 | | | 5:1 | | 2:0 | | | | | | 16 | 13 | 2 | 1 | 35:8 | 41 | 6 | 1 | 1 | 17:3 | 19 | 7 | 1 | 0 | 18:5 | 22 |
| 2 | ჩელსი | | | | 2:1 | 1:0 | | | 1:1 | | | | 3:0 | | | | | | 1:0 | 2:1 | 4:0 | 15 | 11 | 2 | 2 | 25:8 | 35 | 6 | 1 | 0 | 14:3 | 19 | 5 | 1 | 2 | 11:5 | 16 |
| 3 | არსენალი | | | | | 3:0 | | 1:1 | 1:1 | | 3:0 | | | | | 1:1 | 1:1 | 3:0 | | | 3:0 | 15 | 7 | 4 | 4 | 25:12 | 25 | 4 | 4 | 0 | 16:4 | 16 | 3 | 0 | 4 | 9:8 | 9 |
| 4 | პორტსმუთი | | | | | | 3:1 | | 2:2 | 0:1 | | 1:0 | | 1:1 | 3:0 | | | | 2:0 | | 2:1 | 16 | 7 | 4 | 5 | 21:14 | 25 | 5 | 2 | 1 | 14:6 | 17 | 2 | 2 | 4 | 7:8 | 8 |
| 5 | ლივერპული | | | | 0:0 | | 2:0 | | 3:1 | | 3:0 | | 1:0 | | 1:1 | 2:0 | | | 2:1 | | | 16 | 7 | 4 | 5 | 19:15 | 25 | 6 | 2 | 0 | 14:3 | 20 | 1 | 2 | 5 | 5:12 | 5 |
| 6 | რედინგი | 1:1 | 0:1 | 0:4 | | | | | | 1:0 | 3:1 | | 1:0 | | | | 3:2 | | | 2:0 | | 16 | 8 | 1 | 7 | 19:21 | 25 | 5 | 1 | 2 | 11:9 | 16 | 3 | 0 | 5 | 8:12 | 9 |
| 7 | ევერტონი | | | | | 3:0 | | | 0:1 | 1:0 | | 2:2 | 1:1 | | | | | 2:0 | 2:0 | | 2:1 | 16 | 6 | 6 | 4 | 20:15 | 24 | 5 | 2 | 1 | 13:5 | 17 | 1 | 4 | 3 | 7:10 | 7 |
| 8 | ასტონ ვილა | | | | | | 2:1 | | | | 1:1 | | 1:3 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 1:1 | | | 2:0 | | 16 | 5 | 9 | 2 | 19:15 | 24 | 4 | 3 | 1 | 12:7 | 15 | 1 | 6 | 1 | 7:8 | 9 |
| 9 | ბოლტონი | 0:4 | 0:1 | 3:1 | | 2:0 | | | | | 2:0 | 0:1 | | | | | 0:0 | | | | 1:0 | 16 | 7 | 3 | 6 | 15:15 | 24 | 4 | 1 | 3 | 8:7 | 13 | 3 | 2 | 3 | 7:8 | 11 |
| 10 | ტოტენჰემი | | 2:1 | | 2:1 | | | 0:2 | | | | 3:1 | | 0:0 | | | 2:1 | 2:0 | 1:0 | | | 16 | 6 | 4 | 6 | 15:20 | 22 | 6 | 1 | 1 | 12:6 | 19 | 0 | 3 | 5 | 3:14 | 3 |
| 11 | უიგანი | 1:3 | | | | 0:4 | 1:0 | | 0:0 | | | | 4:0 | | | | | | | 3:2 | 1:1 | 15 | 6 | 3 | 6 | 19:20 | 21 | 3 | 2 | 2 | 10:10 | 11 | 3 | 1 | 4 | 9:10 | 10 |
| 12 | სიტი | | | 1:0 | 0:0 | | | | | | | | | 3:1 | | 0:0 | 1:0 | 0:0 | 2:0 | | 0:0 | 16 | 5 | 5 | 6 | 13:17 | 20 | 4 | 4 | 0 | 7:1 | 16 | 1 | 1 | 6 | 6:16 | 4 |
| 13 | ფულემი | | 0:2 | 2:1 | | | 0:1 | 1:0 | | 1:1 | | 0:1 | | | | | | 1:0 | | 2:1 | | 16 | 5 | 5 | 6 | 16:23 | 20 | 4 | 1 | 3 | 7:7 | 13 | 1 | 4 | 3 | 9:16 | 7 |
| 14 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | | | | | 1:1 | | 0:1 | 1:1 | 2:1 | 4:2 | 2:0 | | | | | | | | 15 | 4 | 4 | 7 | 13:18 | 16 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 | 1 | 2 | 4 | 3:9 | 5 |
| 15 | ნიუკასლი | | | | 1:0 | | 3:2 | 1:1 | | 1:2 | | 2:1 | | 1:2 | | | | 0:1 | | 0:0 | | 15 | 4 | 4 | 7 | 12:17 | 16 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 | 1 | 2 | 4 | 3:8 | 5 |
| 16 | მიდლსბრო | 1:2 | 2:1 | | 0:4 | 0:0 | | 2:1 | | | | | | | 0:1 | 1:0 | | | 1:0 | | | 16 | 4 | 4 | 8 | 13:21 | 16 | 4 | 1 | 3 | 7:9 | 13 | 0 | 3 | 5 | 6:12 | 3 |
| 17 | შეფილდი | 1:2 | 0:2 | | | 1:1 | 1:2 | | 2:2 | | | | | | 0:0 | | 2:1 | | | 2:1 | | 16 | 4 | 4 | 8 | 11:20 | 16 | 2 | 3 | 3 | 9:11 | 9 | 2 | 1 | 5 | 2:9 | 7 |
| 18 | ვესტ ჰემი | | | 1:0 | | | 0:1 | | 1:1 | | | 0:2 | | | 2:1 | 0:2 | | 1:0 | | 3:1 | | 16 | 4 | 2 | 10 | 10:20 | 14 | 4 | 1 | 3 | 8:8 | 13 | 0 | 1 | 7 | 2:12 | 1 |
| 19 | ჩარლტონი | 0:3 | | 1:2 | 0:1 | | | 1:1 | | 2:0 | | | 1:0 | | 1:0 | | | | | | 0:0 | 16 | 3 | 3 | 10 | 12:23 | 12 | 3 | 2 | 3 | 6:7 | 11 | 0 | 1 | 7 | 6:16 | 1 |
| 20 | უოტფორდი | 1:2 | | | | | | | 0:0 | | 0:0 | | | 3:3 | | | 2:0 | 0:1 | 1:1 | | | 15 | 1 | 7 | 7 | 10:20 | 10 | 1 | 4 | 2 | 7:7 | 7 | 0 | 3 | 5 | 3:13 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რონალდომ წამალი აღიარა



ეუფემიანო ფუენტესმა მადრიდის „რეალთან“, „ბარსელონასთან“, „ვალენსიასთან“ და „ბეტისთან“ თანამშრომლობის ფაქტები უარყო. მოგეხსენებათ, რომ ფუენტესი ესპანელი ექიმია, რომელიც 2006 წლის მაისში ველომრბოლებთან დაკავშირებული დოპინგსკანდალის გამო დააკავეს. რამდენიმე დღის წინ კი ფრანგულმა „ლე მონდმა“ დოქტორ ფუენტესთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელშიც იგი ესპანური პრიმერას გუნდებთან კავშირს ირიბად აღიარებდა. „ლე მონდის“ ვერსიით, ექიმი ხსენებული კლუბის ფეხბურთელებს ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაში აკრძალული პრეპარატებით ეხმარებოდა.

გუშინ კი ფუენტესმა ესპანურ TVE-სთან სატელეფონო ინტერვიუში მორიგ დოპინგსკანდალში გარევა იუარა — რა დოპინგი, რის „რეალი“ და „ბარსელონა“, ამათთან საერთოდ არ ვთანამშრომლობდიო. „ლე მონდმა“ არასწორად გამიგო. ჩემდამი წაყენებული ბრალდებები მეტისმეტად გაზვიადებულად მეჩვენება“ — განაცხადა ეუფემიანომ და თან დაამატა, არ ვიცი, ესპანურ კლუბთა უფროსობა რას იტყვის, მაგრამ მე მათთან კავშირი არასდროს დამიჭერიაო.

კლუბებმაც სახელგატეხილ ესკულაპთან კავშირი უარყვეს. უფრო მეტიც, „რეალის“, „ბარსელონას“, „ვალენსიას“ და „ბეტისის“ თავკაცობა „ლე მონდის“ წინააღმდეგ საქმის აღძვრით იმუქრება.

ფრანგული გაზეთის თანახმად, ფუენტესს გააჩნია ჩანაწერები, სადაც წინა სეზონში ესპანური გუნდების მოსამზადებელი გეგმაა მოცემული. ჩანაწერებში კონკრეტული სახელები არაა მოხსენებული, იგი ალაგ-ალაგ კი კოდირებულია, რამაც „ლე მონდს“ ეჭვი აღუძრა, რომ შიფრის უკან დოპინგის კვალი იმალება.

სავარაუდოდ, ფუენტესი მარტო ფეხბურთელებთან კი არა, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებთან, ჩოგბურთელებთან, მოკრივეებთან, ათლეტებთან — თანამშრომლობდა. ექიმი ამას არ უარყოფს, მაგრამ ამასთან ამბობს, რომ თანამშრომლობა ლეგალური იყო და აკრძალული პრეპარატები არაფერ შუაშია.

„ლე მონდთან“ ბაასში კი ექიმმა თქვა: „ყოფილი კლიენტების სახელებს ვერ გავთქვამ. ისინი უკვე სამჯერ დამემუქრნენ სიკვდილით. დარწმუნებული ვარ, მეოთხეჯერ სიტყვიერ მუქარას თან რეალური საფრთხეც მოჰყვება“.

ამასობაში ესპანეთში ჟურნალისტებმა დოპინგთან დაკავშირებით რეალელი რონალდო დაკითხეს. კიჭა ერთ-ერთი იმ მობურთალთაგანია, რომელთაც ფუენტესისგან აკრძალული პრეპარატების მიღება ედებათ ბრალად.

„ამ კაცს საერთოდ არ ვიცნობ, უბრალოდ, ეუფემიანო ფუენტესის არსებობის შესახებაც კი არაფერი ვიცოდი. დასამალი არაფერი გვაქვს, რადგანაც კანონსაწინააღმდეგოს არაფერს ვაკეთებთ. ფეხბურთელები მატჩების შემდეგ დოპინგ-კონტროლს გავდივართ და რამე რომ ყოფილიყო, საიდუმლოდ არაფერი დარჩებოდა. მე და ჩემი მეგობრები წამალს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიღებთ, როცა ავად ვხდებით, ტრავმა გვაქვს და არა ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად“ — განაცხადა რონალდომ.

**ლადო ხომერიკი**

| XIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბარსელონა | : | სოსიედადი |
| სევილია | : | რეალი |
| **ხვალ** | | |
| რასინგი | : | სარაგოსა |
| ვალენსია | : | დეპორტივო |
| ბილბაო | : | უელვა |
| ატლეტიკო | : | ესპანიოლი |
| ხეტაფე | : | ბეტისი |
| ხიმნასტიკი | : | ლევანტე |
| სელტა | : | ვილიარეალი |
| ოსასუნა | : | მალიორკა |




დავიდ ვილია გამოჯეთდა

## ესპანეთი

# რუუდ ვან ნისტელროიმ ოქროს ბურთი დაამტვრია

